არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი
National Botanical Garden of Georgia

NBGG

სამუშაო ტანსაცმელის, სპეცტანსაცმელის და აქსესუარების

სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

CPV კოდი 18100000

სავარაუდო ღირებულება 16 000.00 (თექვსმეტი ათასი) ლარი

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე

ქ. თბილისი 2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე დოკუმენტების ან/და იფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თქრგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნეს პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.8 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება ამ წესის მე-12 მუხლის მე- 11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.9 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა: ტენდერისთვის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

1.10 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა #1, ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული შენობა.

საკონტაქტო პირი:
გოგი ლორთქიფანიძე ტელ: 592 10 10 84
ნინო ბერიძე ტელ: 599 18 17 15.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

2.1.1 ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებისთვის სამუშაო ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლისა და აქსესუარების შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები მოცემულია დანართი 3-ში:

დანართი 3

საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	რაოდენობა (ცალი)
უნიფორმა დაცვის სამსახურისთვის (შარვალი, ქურთუკი, მაისური ,,პოლო“, კეპი,)	1. **შარვალი** - კლასიკური ჯიბეებით, შარვლის ტოტები ზემოდან ქვემოთ ვიწროვდება. წინა ნაწილზე დაკერებული თავისივე ქსოვილის სამუხლეებიგასაფორმებელი გვირისტებით. გვერდით ნაკერებზე ორივეს მხარეს სტილიზებური ნაკეციანი ჯიბეები სარქველებით, შესაკრავი ფხრიწზე. ჯიბე და სარქველები დამუშავებულია ორმაგი გასაფორმებელი გვირისტებით. სამუხლეების თავზე ორივე მხარეს განთავსებულია მოცულობითი სპეციალური დანიშნულების ჯიბეები სარქველებით ერთ ფხრიწზე. ჯიბეები, სარქველები და ფხრიწის მიკერება გაფორმებულია გვირისტებით. უკანა ნაწილზე განთავსებულია ორი ჩაჭრილი ჯიბე სარქველებით ორ ფხრიწზე. სარქველები და ფხრიწის მიკერება გაფორმებულია გვირისტებით. შარვლის სათავე დამუშავებულია კომბინირებულად. გვერდებში ქამარზე ჩაკერებულია 3-5 სმ-იანი რეზინი ზომის სარეგულირებლად და სხვადასხვა ზომის 7 განიერი საქამრე. წინ მარჯვენა საქამრეზე მიმაგრებულია მეტალის რგოლი. შარვალი იკვრება მეტალის ელვა შესაკრავით, ერთ მეტალის ღილზე ღილკილოთი. შარვალი ბოლოში შეკეცილია 2-4 სმ-იანი ნაკეცით. შარვლის გვერდით ნაკერები დამუშავებულია ორმაგი გასაფორმებელი გვირისტებით. ყველა ჯიბეზე და სარქველებზე გამძლეობისთვის გაკეთებულია ჩამაგრებები. გამოყენებული ქსოვილი: ბამბა 35%±5%; პოლიესტერი 65%±5%; ზედაპირული სიმკვრივე არანაკლებ 235 გრ. მ^2 ±5%. არ უნდა გახუნდეს გარემო ზემოქმედებისაგან. ფერი შეთანხმებით;	**35**

	2. ქურთუკი - გაფორმებული უნდა იყოს ორმაგი გვირისტებით. საშუალო სიგრძის, წელში გამოყვანილი, თეძოზე მომდგარი, ქამრით და მოსაჭერი თასმით ფხრიწზე ზომის სარეგულირებლად. კალთები იკვრება მეტალის ელვა შესაკრავით დაფარული თამასით, რომელიც იკვრება 4-5 კნოპზე ან ფხრიწზე. კალთის ზედა ნაწილზე განთავსებულია ორი ზედნადები ჯიბე სარქველით შესაკრქვი 2 ცალ ფხრიწზე ან 2 ცალ კნოპზე, მხრებზე განთავსებულია თასმები კნოპებზე პაგონებისათვის. კალთის ქვედა ნაწილზე განთავსებულია ორი მოცულობითი ორმაგი ჯიბე სარქველით შესაკრავი 2-2 ფხრიწზე ან 2 კნოპზე. სახელო ჩაკერებული. მარცხენა სახელოზე განთავსებულია მოცულობითი სპეციალური დანიშნულების ჯიბე სარქველით, შესაკრავი ერთ ფხრიწზე. სახელოებზე იღლიებში ჩაკერებულია ელვა შესაკრავი ჰაერგამტარიანობისათვის. საყელო დგარი, ჩასაკეცი კაპიშონით, რომელიც იკეტება ელვა შესაკრავით და გაფორმებულია. ზურგი მთლიანი, რომელზეც განთავსებულია წარწერა **„დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური“,** ხოლო წინ მკერდზე მარცხნივ ბოტანიკური ბაღის ლოგო. გამოყენებული ქსოვილი: ბამბა 35%±5%; პოლიესტერი 65%±5%; ზედაპირული სიმკვრივე არანაკლებ 235 გრ. მ^2; არ უნდა გახუნდეს გარემო ზემოქმედებისაგან. ფერი შეთანხმებით;	**35**
	3. მაისური - სწორი სილუეტის 3 ღილზე **ე.წ. „პოლო“- დიზაინის**, მოკლე სახელოთი. საყელო ჩაკერებული თავისივე ფერის გარეზინებული ქსოვილისგან. გამოყენებული ქსოვილი: ბამბა არანაკლებ 80% . ფერი მუქი ლურჯი ზურგი მთლიანი, წარწერით: **„დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური“,** წინ მკერდზე ლოგო. ფერი შეთანხმებით;	**35**
	4. კეპი - პლასტმასის ფარით. გაფორმებით. უკან ზომის მარეგულირებელი ფხრიწზე. წინ ლოგოთი. გამოყენებული ქსოვილი: ბამბა 35%±5%; პოლიესტერი 65%±5%; ზედაპირული სიმკვრივე არანაკლებ 235 გრ. მ^2.	**35**
სამუშაო სპეც ტანსაცმელი (სამუშაო ხალათი, შარვალი, ქურთუკი, მაისური)	**5. სამუშაო ხალათი** - წინ კალთებზე ორი ჯიბე. მკერდზე 1 (ერთი) ჯიბე ლოგოთი. წინა მარჯვენა და მარცხენა კალთა 2 ნაწილიანი, ზურგი 2 ნაწილიანი შუაზე ჩახსნილი და წარწერით - შემსყიდველთან შეთანხმებით. კალთები იკვრება 4-5 ღილზე ღილკილოთი. გაფორმებული ორმაგი გვირისტით. ქსოვილი 100% ბამბა. ფერი შეთანხმებით;	**24**
	6. შარვალი -კლასიკური ჯიბეებით, მუხლთან მარცხენა გვერდის ნაკერებზე მოცულობითი ჯიბე სარქველით ფხრიწზე. უკანა ნაწილზე ჩაჭრილი ჯიბე სარქველით ფხრიწზე, შარვლის სათავე დამუშავებულია კომბინირებულად. გვერდებში ქამარზე ჩაკერებულია 3÷5 სმ-იანი რეზინით ზომის სარეგულირებელად და სხვადასხვა ზომის 7 განიერი საქამრე; წინ მარჯვენა საქამრეზე მიმაგრებულია მეტალის რგოლი; შარვალი იკვრება მეტალის ელვა შესაკრავით, ერთ ღილზე და ერთ ღილკილოზე; შარვალი ბოლოში შეკერილია 2÷4 სმ-იანი ნაკერით. ყველა ჯიბეზე და სარქველებზე გამძლეობისათვის გაკეთებულია ჩამაგრებები. შარვალი გაფორმებულია გასაფორმებელი გვირისტებით. გამოყენებული ქსოვილი: პოლიესტერი არანაკლებ 70%, ბამბა არაუმეტეს 30%; ზედაპირული სიმკვრივე არანაკლებ 235 გრ. მ^2 ; **ფერი მუქი ლურჯი.** გარემო ზემოქმედებისაგან არ უნდა ხუნდებოდეს. შარვალი გაფორმებულია ორმაგი გასაფორმებელი გვირისტით, სარქველები და ჯიბის ნაკეცები რუხი ფერის ქსოვილებით (შესაძლებელია ფერის შეთანხმება).	**76**

	7. **ქურთუკი**-საშუალო სიგრძის, ბოლო დამუშავებული ქამრით ზომის მარეგულირებელი თასმით ფხრიწზე. კალთები იკვრება ელვა შესაკრავით წინა კალთაზე-ქვემოთ დამუშავებულია ორი ზედნადები რელიეფური ჯიბე სარქველით ორ ფხრიწზე. მკერდზე მარცხნივ მიკერებულია ზედნადები ჯიბე სარქველით ორ ფხრიწზე. მარჯვნივ სპეცდანიშნულების მოცულობითი ჯიბე სარქველით ერთ ფხრიწზე. მის გვერდით სპეცდანიშნულების 3 განყოფილებიანი თასმა. საყელო-დგარი, ჩასაკეცი კაპიშონით, ჩასაკეტი ელვა-შესაკრავით, გაფორმებული რუხი ქსოვილით; სახელო-ჩაკერებული; ზურგი-მთლიანი, წარწერით. მკერდზე-ლოგო. გამოსაყენებელი ქსოვილი: პოლიესტერი არანაკლებ 70%, ბამბა არაუმეტეს 30%; ზედაპირული სიმკვრივე არანაკლებ 235 გრ. მ^2 ; **ფერი მუქი ლურჯი.** გარემო ზემოქმედებისაგან არ უნდა ხუნდებოდეს. სარქველები და ნაკეცები გაფორმებულია ორმაგი გასაფორმებელი გვირისტით და რუხი ფერის ქსოვილით (შესაძლებელია ფერის შეთანხმება).	**76**
	8. **მაისური** - სამკუთხედი საყელოთი, მოკლე სახელოთი, ზურგზე წარწერით და წინ ლოგოთი. ქსოვილი: ბამბა არანაკლებ 80%. ფერი შეთანხმებით	**105**

შენიშვნა:

1. ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ნიმუშები ყველა პოზიციაზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში გამოყენებული ქსოვილის საექსპერტო დასკვნა სსიპ "ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან ან სხვა აკრედიტებული ევროპული ლაბორატორიიდან ტექნიკური პირობების შესაბამისობის დადგენის მიზნით შერჩევით პოზიციებზე.
2. ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.3. აუცილებელი პირობა

2.3.1. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა უზრუნველყოს ზომების აღება რის შესაბამისადაც უნდა წარმოადგინოს შემდგომში მოსაწოდებელი საქონელი.
ა) სპეცტანსაცმილის ქსოვილი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, გარეცხვისას არ უნდა იცვლიდეს ფერს.
ბ) სპეცტანსაცმლის საბოლოო ვარიანტი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

გ) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე–11 მუხლის 21 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. დასაბუთების წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, კერძოდ , ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტმა, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული, პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტთაგანი:

•ხელშეკრულება
•ანგარიშ-ფაქტურა
•ინვოისი
რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

შენიშვნა: *სატენდერო დოკუმენტაციაში სადაც მითითებულია სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება ,,მსგავსი'' ან ,,ექვივალენტური.*

3. მიწოდების პირობები და ვადები;

3.1. საქონლის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.
3.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა #1.

4. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

4.1. სატენდერო წინადადება - პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინდადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვადების დადგომამდე
4.2. რეკვიზიტები დანართი 2-ის მიხედვით.
4.3. ფასების ცხრილი დანართი 4-ის მიხედვით.
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;
5.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.
5.3. დაფინანსების წყარო: 2016 წლის ბიუჯეტი: **რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი და საკუთარი ეკონომიკური შემოსავლები.**
5.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

დანართი #2

6. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

დანართი 4

7. ფასების ცხრილი

შესყიდვის ობიექტის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყნა /მწარმოებელი / მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

შენიშვნა: ფასების ცხრილში ერთეულისა და საერთო ღირებულებები მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის დღგ-ს გადასახადი.

პრეტენდენტის ხელმოწერა: ---------- ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი **------ 2016 წელი**

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ საქართველოს ბოტანიკური ბაღის** (შემდგომში ,,შემსყიდველი) დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით მეორეს მხრივ ---------- -- (შემდგომში ,,მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

---- შესყიდვაზე გამარჯვებულად მიჩნეული იქნა ---------- სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს - საქონელი შემდეგ თანხაზე ----------
---

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1.“ხელშეკრულება სახელმწიფი შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ - ხელშეკრულება) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;
1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს შემსყიდველს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“, ნიშნავს კალენდარულ დღეს , კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირებისათვის;
2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:
- სამუშაო ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის და აქსესუარების შესყიდვა;
- **CPV კოდი: 18100000**;

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი N__, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

8. ფასი და ანგარიშსწორების პირობები.

3.1. შესყიდვის ობოექტის საერთო ღირებულება შეადგენს - _____ (თანხა ციფრებით და სიტყვიერად).
3.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური განფასება მოცემული ფასების ცხრილში-დანართი N__;
3.3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;
3.4. დაფინანსების წყარო : 2016 წლის ბიუჯეტი: **რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი და საკუთარი ეკონომიკური შემოსავლები.**
3.5. ანგარიშსწორება მოხდება უნდაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად მიწოდებული საქონლის საფუძველზე.
3.7. ანგარიშსწორება იწარმოებს მითითებული (მოთხოვნილი) დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. **საქონლის მიწოდების პირობები.**

4.1. მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს N_-ში მოცემულ მითითებებს.
4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში,
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

10. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (სასაქონლო ზედნადების გამოწერით). საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტითა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გამოწერით, რომელთა გამოწერით ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე უკუთვნის მიმწოდებელს,
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი ----------

6. მიწოდების ადგილი

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით, შემდეგ მისამართზე : ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის ატარებს ინსპექტირებას რათა დარწუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პირობები.

7.4. დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი/ხარვეზი მიმწოდებელმა უნდა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.
7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობისნოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისთვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3. თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგელბში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს „ შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
10.3.1. შეწყვიროს წინამდებარე ხელშეკრულება და „ მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისთვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.
10.3.2. განუსაზღვროს მიწოდების სადრულებისტვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
10.4. თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მიწოდების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.5. თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განხაორციელებს მიწოდების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისთვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობოთ.
10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან
10.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ასევე:
10.7.1. თუ „ შემსყიდველისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
10.7.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.
10.7.3. საქართველოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.8. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარგაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტოქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტების ირგვლივ.
12.2 . თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებილი იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“ , ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“.

14.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ.ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.4. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევის საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომელიც გადასახადელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმდების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17.სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3. დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

დანართი 1

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერპირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არწარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

• სატენდერო წინადადების ფასი;

• სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

• სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

• ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არაკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერი სპირობებს;

• შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილიწესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.